თავისუფალი უნივერსიტეტი

კახა ბენდუქიძის ცოდნის ფონდის 2015 წლის სასწავლო ვაუჩერი

11600 ლარი

_____

(აბიტურიენტის სახელი და გვარი)

თავისუფალი უნივერსიტეტის ნებისმიერ სკოლაში ჩაბარების შემთხვევაში, 4 წლის მანძილზე, მიიღებ ცოდნის ფონდის 11 600 ლარიან სასწავლო გრანტს, რომელიც შენ მიერ ყოველწლიურად გადასახდელ თანხას 2 900 ლარით შეამცირებს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საგრანტო პირობები

ერთი მხრივ, საქველმოქმედო ორგანიზაცია არაკომერციული (არამომგებიანი) იურიდიული პირი ცოდნის ფონდი (ს/კ 204530962; ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N240), ხოლო მეორე მხრივ, მე, შემდგომში სტუდენტი, ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. ააიპ ცოდნის ფონდი განახორციელებს სტუდენტის სწავლის საფასურის საგრანტო (არადაბრუნებად) დაფინანსებას 11 600 (თერთმეტიათას ექვსასი) ლარის ოდენობით.

მუხლი 2. ამ პირობების პირველ მუხლში აღნიშნული გრანტის თანხა წარმოადგენს ცოდნის ფონდის საჩუქარს და სტუდენტი თავისუფალია ნებისმიერი სახის უზრუნველყოფის ვალდებულებისაგან.

მუხლი 3. ცოდნის ფონდი ამ პირობების პირველი მუხლით დადგენილ თანხას თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტს გადასცემს სტუდენტის სწავლის საფასურის დაფინანსების მიზნით.

მუხლი 4. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის, შეჩერების ან აღდგენის შესახებ ინფორმაცია სტუდენტმა და თბილისის თავისუფალმა უნივერსიტეტმა დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდონ ცოდნის ფონდს. საგრანტო დაფინანსება გაგრძელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტის სტატუსის შეჩერება არ ხდება 1 წელზე მეტი ვადით.